

# კვლევის ანგარიში



## კლიმატური ცვლილება

*მომზადებულია პროექტის „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ ფარგლებში*

*ა(ა)იპ წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის ეკოკომიტეტის მიერ*

წყალტუბო,

2022 წელი

# შინაარსი

1. შესავალი .....	3
2. კვლევის დიზაინი .....	4
2.1 კვლევის მიზანი და ამოცანები .....	4
2.2 კვლევის მეთოდოლოგია .....	4
3. კვლევის შედეგები და ანალიზი.....	5
3.1 კვლევის შედეგების ზოგადი მიმოხილვა.....	5
3.2 კლიმატის ცვლილების საკითხის სწავლება: .....	7
3.3 სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობის დონე კლიმატის ცვლილების უარყოფით შედეგებზე .....	8
3.4 გიმნაზიის ჩართულობა კლიმატის ცვლილების კამპანიაში .....	8
3.5. გიმნაზიაში სიარულის ეკო გზები: .....	9
3.6. გიმნაზია და გადამუშავება-დაზოგვის კულტურა .....	9
4.მდგრადობის აუდიტის შედეგები .....	10
5.ძლიერი მხარეები .....	10
6. სუსტი მხარეები.....	11
პრიორიტეტული მიმართულებები ქმედებისთვის.....	11

# 1. შესავალი

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ა(ა)იპ წმ.გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის მდგრადობის აუდიტის კვლევის ანგარიშს - კლიმატური ცვლილების თემატიკაზე.

**კვლევა განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამის „ეკოსკოლების“ ფარგლებში, ა(ა)იპ წმ.გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის ეკოკომიტეტის მიერ.**

ეკოსკოლების პროგრამას საქართველოში ახორციელებს ორგანიზაცია "დავიცვათ საქართველოს სისუფთავე" (KGT), რომელიც საერთაშორისო გარემოსდაცვითი განათლების ფონდის (FEE) ასოცირებული წევრი და მისი პროგრამის (ეკოსკოლების პროგრამის) წარმომადგენელია ეროვნულ დონეზე.

აღნიშნული ორგანიზაცია, ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით, ახორციელებს იმავე სახელწოდების პროექტს "დავიცვათ საქართველოს სისუფთავე", რომლის მთავარი მიზანია ჩვენს ქვეყანაში გარემოს დაბინძურების შემცირება, გარემოსდაცვითი განათლებისა და ცირკულარული ეკონომიკის (ნარჩენების გარეშე ეკონომიკა) განვითარების ხელშეწყობა.

პროექტის პრიორიტეტია გარემოსდაცვითი მდგრადი განათლება და მისი ინტეგრირება ქვეყნის ზოგადი განათლების სისტემაში.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში ორგანიზაცია დანერგავს ეკოსკოლების პროგრამას საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში, რაც ხელს შეუწყობს გარემოსდაცვითი განათლების დონის ამაღლებას და ახალგაზრდა თაობაში უნარ-ჩვევების განვითარებას.

ეკოსკოლების პროგრამა არის საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც დაფუძნებულია 7 საფეხურიან მეთოდოლოგიაზე. იგი წარმოადგენს წამახალისებელ მექანიზმს, რომელიც დაკავშირებულია მდგრადი განვითარების მიზნებთან და ხელს უწყობს განათლებას მდგრადი განვითარებისათვის.

პროგრამის მთავარი მიზანია სკოლებმა, თავიანთი წვლილი შეიტანონ გარემოს გაჯანსაღების საქმეში და აღზარდონ გარემოსადმი პასუხისმგებლიანი თაობა.

შერჩეული თემატიკა მნიშვნელოვნად დაეხმარება სკოლებს წარმატებით განახორციელონ შვიდსაფეხურიანი პროგრამა. ხოლო შედეგი, მწვანე დროშის მოპოვება და ეკოსკოლების მსოფლიო რუკაზე საქართველოს გამოჩენა იქნება, რაც ყველა ჩართული მოსწავლის და მასწავლებლის მონაწილეობით გახდება შესაძლებელი.

სკოლებში დასრულდა პროგრამის პირველი საფეხურის-ეკოკომიტეტის ფორმირება და დაიწყო მეორე საფეხურის- სკოლების მდგრადობის აუდიტის ჩატარება. აუდიტი წარმოადგენს ერთგვარ კვლევას, რომელსაც აწარმოებს ეკოკომიტეტი და მასში ჩართულია მთელი სკოლის საზოგადოება. კვლევის ჩასატარებლად სკოლებისთვის შეთავაზებულ იქნა თემატიკა- ბიომრავალფეროვნება, კლიმატური ცვლილება და ნარჩენების მართვა.

ა(ა)იპ წმ.გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიამ სამუშაო თემად აირჩია კლიმატური ცვლილება .განისაზღვრა კვლევის ფორმატი და ის განხორციელდა ონლაინ, ელექტრონული გზით.

ეკოსკოლების შვიდსაფეხურიანი პროგრამის დანერგვისა და განხორციელებისთვის ა(ა)იპ წმ.გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიაში განხორციელდა ეკოკომიტეტის ფორმირება და მიმდინარეობს მეორე საფეხურის, კერძოდ; კლიმატური ცვლილების თემაზე

მდგრადობის აუდიტის ჩატარება. აღნიშნული მიზნის მიღწევის მიზნით, გიმნაზიის ადმინისტრაციას, ეკოკომიტეტის წევრებსა და მოსწავლეებსა და მშობლებს დაეგზავნათ სოციალური ქსელების გამოყენებით კითხვარი, რომლის ანალიზის საფუძველზეც უნდა მომზადდეს კვლევის ანგარიში. აღნიშნული კვლევის ანგარიში მნიშვნელოვანია, სამომავლო ეკოკომიტეტის სამოქმედო გეგმის შედგენისთვის. გამოკითხვისთვის ეკოკომიტეტის კოორდინატორის მიერ წინასწარ შერჩეულ ინფორმანტებს გადაეგზავნათ კითხვარი სოციალური ქსელების მეშვეობით.

## 2. კვლევის დიზაინი

### 2.1 კვლევის მიზანი და ამოცანები

მდგრადობის აუდიტის ჩატარების მიზანია წარმოადგინოს ეკოსკოლების საერთაშორისო პროგრამის მეორე საფეხურის დავალებები და რეკომენდაციები, რომელთა შესრულებაც უზრუნველყოფს მომდევნო საფეხურებზე გადასვლას, რაც, საბოლოოდ, აღნიშნული პროგრამის წარმატებით დანერგვის და მწვანე დროშის მოპოვების საწინდარია.

მდგრადი განვითარების აუდიტი ეკოსკოლების პროგრამის ქვაკუთხედიანია. მდგრადობის აუდიტის მიზანია სკოლის მდგრადობის სტატუსის დადგენა და მოსწავლეების უნარების განვითარება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აუდიტი ერთგვარი კვლევაა. კვლევის გამოცდილება აყალიბებს დამოკიდებულებებს, ღირებულებებს და განწყობებს მტკიცებულ საკითხებთან დაკავშირებით, აძლევს ახალგაზრდებს მეტ მოტივაციას გარემოს დასაცავად. პროცესი ავითარებს კვლევის, ანალიზის უნარებს, შემეცნების სურვილს. მოსწავლეები ეუფლებიან მონაცემების შეგროვებისა და მათი სწორად გამოყენების ხერხებს, განსაზღვრავენ და ასაბუთებენ სკოლის საჭიროებებს, უვითარდებთ პრიორიტეტების განსაზღვრის უნარი. **აუდიტის შედეგების საფუძველზე დგება სამოქმედო გეგმა (მესამე საფეხური). შეგროვებული მონაცემები მნიშვნელოვანად ეხმარება ეკოკომიტეტს განსაზღვროს სტრატეგია, თუ როგორ გადაწყვეტოს აღნიშნული პრობლემა.**

აუდიტის საშუალებით ეკოკომიტეტი და მთლიანი გიმნაზია აფასებს მდგრადობის ხარისხს სამივე დონეზე: ეკონომიკური (ფინანსური), საზოგადოებრივი და გარემოსდაცვითი. ფასდება შესაბამისი ბუნებრივი, სოციალური (ადამიანური) და ეკონომიკური რესურსების არსებობა სკოლასა და თემში, მათი გამოყენების პრაქტიკა და მათი განვითარების შესაძლებლობები. აგრეთვე, აუდიტი განსაზღვრავს სკოლაში არსებულ საწყის ვითარებას მდგრადობასთან დაკავშირებული პრობლემების მხრივ, შეისწავლის რა მათ მენეჯმენტსა და პრაქტიკული გადაჭრის გზებს.

აუდიტის პროცესში უნდა შეფასდეს სამოქმედო გეგმის განხორციელებაში მონაწილეობის სურვილი და შესაძლებლობა სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლის მხრიდან. აგრეთვე, შესწავლილ უნდა იქნას მიმდინარე საგანმანათლებლო პროექტები და აქტივობები, რომელთაც შესაძლებელია, რომ დაუკავშირდეს მომავალი საქმიანობა.

ამ ეტაპზე, აუდიტის ჩატარება შინაარსობრივად უკავშირდება ერთ კონკრეტულ თემს - **კლიმატურ ცვლილებას.**

### 2.2 კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდით, დისტანციურად, ონლაინ ფორმატის გამოყენებით.

კვლევის არეალი: **იმერეთი, წყალტუბოს რაიონი, ა(ა)იპ წმ.გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზია**



## სულ გამოიკითხა 143 ინფორმანტი.

გიმნაზიის ადმინისტრაცია: 2

გიმნაზიის მოსწავლეები: 64

გიმნაზიის მასწავლებლები: 17

გიმნაზიის მშობლები : 60

გამოკითხვის განხორციელების პერიოდი: მარტი-აპრილი, 2022 წელი.

### კვლევის დიზაინი

გამოყენებული კვლევის მეთოდი: კითხვარების შევსება (ელექტრონული, ონლაინ ფორმატით)

სამიზნე ჯგუფი: ა(ა)იპ წმ.გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები; ეკოკომიტეტის დანარჩენი წევრები;

შერჩევის მეთოდი: მიზნობრივი შერჩევა;

კვლევის არეალი: ა(ა)იპ წმ.გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზია

კვლევის ხანგრძლივობა: დაახლოებით 15-20 წუთი;

## 3. კვლევის შედეგები და ანალიზი

### 3.1 კვლევის შედეგების ზოგადი მიმოხილვა

გამოკითხულთა საშუალოდ:

- ✓ 86% ფიქრობს, რომ კლიმატის ცვლილების საკითხი ისწავლება სხვადასხვა კლასში
- ✓ 92% თვლის, რომ მოსწავლეებს და სკოლის თანამშრომლებს ესმით კლიმატის ცვლილების უარყოფითი მნიშვნელობა
- ✓ 79%- თვლის, რომ გიმნაზია მონაწილეობს დედამიწის საათში, ან კლიმატის ცვლილების სხვა კამპანიაში
- ✓ 67%-ს შეუძლია იაროს სკოლაში ფეხით.
- ✓ 17%-ს შეუძლია იაროს სკოლაში ველოსიპედით.
- ✓ 27% -ს შეუძლია იაროს სკოლაში საჯარო ტრანსპორტით.
- ✓ 98%-ს შეუძლია დაზოგოს ქაღალდი (მაგალითად, ფურცლის ორივე მხარეს გამოყენება გადასამუშავებლად გაგზავნამდე)
- ✓ 90%-ს შეუძლია გააგზავნოს ნივთები გადასამუშავებლად.
- ✓ 91%-ს შეუძლია მიირთვას ნაკლები ხორცი
- ✓ 93%- ფიქრობს, რომ შეუძლია გამოიყენოს ენერგო დამზოგველი ნათურები

უფრო კონკრეტულად კი გამოკითხულთაგან:


- ადმინისტრაციის 100%, მასწავლებელთა 78%, მოსწავლეთა 88% და მშობლების 82% ფიქრობს, რომ კლიმატის ცვლილების საკითხი ისწავლება სხვადასხვა კლასში
- ადმინისტრაციის 100%, მასწავლებელთა 100%, მოსწავლეთა 94% და მშობლების 97% თვლის, რომ მოსწავლეებს და სკოლის თანამშრომლებს ესმით კლიმატის ცვლილების უარყოფითი მნიშვნელობა
- ადმინისტრაციის 100%-ის, მასწავლებელთა 65%-ის, მოსწავლეთა 74%-ისა და მშობლების 99%-ის აზრით, გიმნაზია მონაწილეობს დედამიწის საათში, ან კლიმატის ცვლილების სხვა კამპანიაში

## მოცემულია დადებითი პასუხები კითხვებზე

მონაწილეობს თქვენი სკოლა დედამიწის საათში, ან კლიმატის ცვლილების სხვა კამპანიაში?


. ესმით თუ არა მოსწავლეებს და სკოლის თანამშრომლებს კლიმატის ცვლილების უარყოფითი მნიშვნელობა?

კლიმატის ცვლილების საკითხი რომელიმე კლასში ისწავლება?




- ადმინისტრაციის 100%-ის, მასწავლებელთა 76%-ის, მოსწავლეთა 45%-ისა და მშობლების 62%-ს, შეუძლია სკოლაში იაროს ფეხით.
- ადმინისტრაციის 0%, მასწავლებელთა 5%, მოსწავლეთა 21% და მშობლების 13%-ს, შეუძლია სკოლაში იაროს ველოსიპედით.
- ადმინისტრაციის 0%, მასწავლებელთა 47%, მოსწავლეთა 32% და მშობლების 33%-ს, შეუძლია სკოლაში იაროს საზოგადოებრივი ტრანსპორტით.

## ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომლის გამოყენებას შეძლებთ? მოცემულია დადებითი პასუხები



- ადმინისტრაციის 100%, მასწავლებელთა 100%, მოსწავლეთა 99% და მშობლების 99% თვლის, რომ შეუძლია დაზოგოს ქალაქი (მაგალითად, ფურცლის ორივე მხარეს გამოყენება გადასამუშავებლად გაგზავნამდე)

- ადმინისტრაციის 100%, მასწავლებელთა 83%, მოსწავლეთა 90% და მშობლების 94% თვლის, შეუძლია გააზავნოს ნივთები გადასამუშავებლად.
- ადმინისტრაციის 100%, მასწავლებელთა 100%, მოსწავლეთა 83% და მშობლების 97% შეუძლია მიირთვას ნაკლები ხორცი
- ადმინისტრაციის 100%, მასწავლებელთა 100%, მოსწავლეთა 96% და მშობლების 97% ფიქრობს, რომ შეუძლია გამოიყენოს ენერგო დამზოგველი ნათურები




### 3.2 კლიმატის ცვლილების საკითხის სწავლება:

სრულად გამოკითხულთა საშუალოდ:

- ✓ 86% ფიქრობს, რომ კლიმატის ცვლილების საკითხი ისწავლება სხვადასხვა კლასში

უფრო კონკრეტულად კი გამოკითხულთაგან:

- ადმინისტრაციის 100%, მასწავლებელთა 78%, მოსწავლეთა 88% და მშობლების 82% ფიქრობს, რომ კლიმატის ცვლილების საკითხი ისწავლება სხვადასხვა კლასში



მოცემულია დადებითი პასუხები


### 3.3 სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობის დონე კლიმატის ცვლილების უარყოფით შედეგებზე

სრულად გამოკითხულთა საშუალოდ:

- ✓ 92% თვლის, რომ მოსწავლეებს და სკოლის თანამშრომლებს ესმით კლიმატის ცვლილების უარყოფითი მნიშვნელობა

უფრო კონკრეტულად კი გამოკითხულთაგან:

- ადმინისტრაციის 100%, მასწავლებელთა 100%, მოსწავლეთა 94% და მშობლების 97% თვლის, რომ მოსწავლეებს და სკოლის თანამშრომლებს ესმით კლიმატის ცვლილების უარყოფითი მნიშვნელობა



მოცემულია დადებითი პასუხები

### 3.4 გიმნაზიის ჩართულობა კლიმატის ცვლილების კამპანიაში

სრულად გამოკითხულთა საშუალოდ:

- ✓ 79%- თვლის, რომ გიმნაზია მონაწილეობს დედამიწის საათში, ან კლიმატის ცვლილების სხვა კამპანიაში

უფრო კონკრეტულად კი გამოკითხულთაგან:

- ადმინისტრაციის 100%-ის, მასწავლებელთა 65%-ის, მოსწავლეთა 74%-ისა და მშობლების 99%-ის აზრით, გიმნაზია მონაწილეობს დედამიწის საათში, ან კლიმატის ცვლილების სხვა კამპანიაში



მოცემულია დადებითი პასუხები




### 3.5. გიმნაზიაში სიარულის ეკო გზები:

სრულად გამოკითხულთა საშუალოდ:

- ✓ 67%-ს შეუძლია იაროს სკოლაში ფეხით.
- ✓ 17%-ს შეუძლია იაროს სკოლაში ველოსიპედით.
- ✓ 27% -ს შეუძლია იაროს სკოლაში საზოგადოებრივი ტრანსპორტით.

უფრო კონკრეტულად კი გამოკითხულთაგან:

- ადმინისტრაციის 100%-ის, მასწავლებელთა 76%-ის, მოსწავლეთა 45%-ისა და მშობლების 62%-ს, შეუძლია სკოლაში იაროს ფეხით.
- ადმინისტრაციის 0%, მასწავლებელთა 5%, მოსწავლეთა 21% და მშობლების 13%-ს, შეუძლია სკოლაში იაროს ველოსიპედით.
- ადმინისტრაციის 0%, მასწავლებელთა 47%, მოსწავლეთა 32% და მშობლების 33%-ს, შეუძლია სკოლაში იაროს საჯარო ტრანსპორტით.




### 3.6. გიმნაზია და გადამმუშავება-დაზოგვის კულტურა

- ✓ 98%-ს შეუძლია დაზოგოს ქაღალდი (მაგალითად, ფურცლის ორივე მხარეს გამოყენება გადასამუშავებლად გაგზავნამდე)
- ✓ 90%-ს შეუძლია გააგზავნოს ნივთები გადასამუშავებლად.
- ✓ 91%-ს შეუძლია მიირთვას ნაკლები ხორცი
- ✓ 93%- ფიქრობს, რომ შეუძლია გამოიყენოს ენერგო დამზოგველი ნათურები

უფრო კონკრეტულად კი გამოკითხულთა:

- ადმინისტრაციის 100%, მასწავლებელთა 100%, მოსწავლეთა 99% და მშობლების 99% თვლის, რომ შეუძლია დაზოგოს ქაღალდი (მაგალითად, ფურცლის ორივე მხარეს გამოყენება გადასამუშავებლად გაგზავნამდე)
- ადმინისტრაციის 100%, მასწავლებელთა 83%, მოსწავლეთა 90% და მშობლების 94% თვლის, შეუძლია გააგზავნოს ნივთები გადასამუშავებლად.
- ადმინისტრაციის 100%, მასწავლებელთა 100%, მოსწავლეთა 83% და მშობლების 97% შეუძლია მიირთვას ნაკლები ხორცი
- ადმინისტრაციის 100%, მასწავლებელთა 100%, მოსწავლეთა 96% და მშობლების 97% ფიქრობს, რომ შეუძლია გამოიყენოს ენერგო დამზოგველი ნათურები

## მოცემულია დადებითი პასუხები



## 4. მდგრადობის აუდიტის შედეგები

კლიმატური ცვლილების საკითხის შესახებ გიმნაზიის საზოგადოების ინფორმირებულობასა და გარემოსდაცვით ღონისძიებებში ჩართულობასთან დაკავშირებით გამოიკვეთა:

- ✓ 86% ფიქრობს, რომ კლიმატის ცვლილების საკითხი ისწავლება სხვადასხვა კლასში
- ✓ 92% თვლის, რომ მოსწავლეებს და სკოლის თანამშრომლებს ესმით კლიმატის ცვლილების უარყოფითი მნიშვნელობა
- ✓ 79%- თვლის, რომ გიმნაზია მონაწილეობს დედამიწის საათში, ან კლიმატის ცვლილების სხვა კამპანიაში

გიმნაზიაში სიარულის ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებით გამოიკვეთა:

- ✓ 67%-ს შეუძლია იაროს სკოლაში ფეხით.
- ✓ 17%-ს შეუძლია იაროს სკოლაში ველოსიპედით.
- ✓ 27% -ს შეუძლია იაროს სკოლაში საჯარო ტრანსპორტით.

გიმნაზიაში დაზოგვა-გადამუშავების კულტურის არსებობასთან დაკავშირებით გამოიკვეთა:

- ✓ 98%-ს შეუძლია დაზოგოს ქაღალდი (მაგალითად, ფურცლის ორივე მხარეს გამოყენება გადასამუშავებლად გააზავნამდე)
- ✓ 90%-ს შეუძლია გააზავნოს ნივთები გადასამუშავებლად.
- ✓ 91%-ს შეუძლია მიირთვას ნაკლები ხორცი
- ✓ 93%- ფიქრობს, რომ შეუძლია გამოიყენოს ენერგო დამზოგველი ნათურები

## 5. ძლიერი მხარეები

გიმნაზიის თემის უმეტესობა (86%) ფიქრობს, რომ კლიმატის ცვლილების საკითხი ისწავლება სხვადასხვა კლასში, მათ (92%) იცინ რომ მოსწავლეებს და გიმნაზიის თანამშრომლებს ესმით კლიმატის ცვლილების უარყოფითი მნიშვნელობა. გამოკითხულთ (79%) აქვთ ინფორმაცია, რომ გიმნაზია მონაწილეობს გარემოსდაცვით ღონისძიებებში.

გამოკითხულთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ შეუძლია გიმნაზიაში იაროს სხვადასხვა ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტით : გამოკითხულთა უმრავლესობას ( 67%) შეუძლია სკოლაში იაროს ფეხით, ნაწილ

მათგანს(27%-ს) შეუძლია სკოლაში იაროს საზოგადოებრივი ტრანსპორტით. მცირე ნაწილს (17%) კი შეუძლია იაროს სკოლაში ველოსიპედით.

გიმნაზიის თემის უმეტესობას შეუძლია დაზოგოს სხვადასხვა რესურსი და მოახდინოს ნივთების გადამუშავება. მათ უმრავლესობას (98%-ს ) შეუძლია დაზოგოს ქალაქი (მაგალითად, ფურცლის ორივე მხარეს გამოყენება გადასამუშავებლად გაგზავნამდე). გამოკითხულთა დიდ ნაწილს (90%-ს ) შეუძლია გააგზავნოს ნივთები გადასამუშავებლად. მათ შეუძლიათ მიირთვან ნაკლები ხორცი(91%) და გამოიყენონ ენერგო დამზოგველი ნათურები(93%)

## 6. სუსტი მხარეები

გამოკითხულთა 21% არ აქვს ინფორმაცია იმის შესახებ ,რომ გიმნაზია აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა გარემოსდაცვით აქტივობებში. გამოკითხულთა შედარებით მცირე რაოდენობას შეუძლია გამოიყენოს ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტი გიმნაზიაში მისასვლელად: გიმნაზიაში ფეხით მისვლა შეუძლია 67%, 27 % შეუძლია გამოიყენოს საზოგადოებრივი ტრანსპორტი გიმნაზიაში მისასვლელად,ხოლო 17%-ს შეუძლია გიმნაზიაში იაროს ველოსიპედით.

## 7. პრიორიტეტული მიმართულებები ქმედებისთვის

1. გიმნაზიის საზოგადოებისა და მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება კლიმატურ ცვლილების საკითხთან დაკავშირებით.
2. ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის გამოყენების მნიშვნელობის შესახებ გიმნაზიის საზოგადოების ინფორმირება .
3. გიმნაზიაში მისასვლელად ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის გამოყენების კულტურის დანერგვა.
4. ნარჩენების მართვის შესახებ საზოგადოების ინფორმირება.
5. ნარჩენების მართვის კულტურის დანერგვა.
6. რესურსების დაზოგვის მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების ინფორმირება.
7. რესურსების დაზოგვის კულტურის დანერგვა.
8. კლიმატის ცვლილების შერბილებისთვის აქტივობების განხორციელება.

კვლევაში მონაწილე პირთა სია - კვლევა განხორციელდა კონფიდენციალობის დაცვით.

*დიანა ჭუმბურიძე*

ა(ა)იპ წმ.გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის

*ეკოკომიტეტის კოორდინატორი*